№ 72 აპრილი 4, სამშაბათი 1889 აპრილი 4, სამშაბათი № 72

ივერია

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

გაზეთის ფასი

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიეშართონ: ოფისში ერევანსკი ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცხადებათა სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ტფილისი, 3 აპრილი

ამ კვირას კრება ჰქონდა ქართულს დრამატიულს საზოგადოებას თავისის საქმეების განსახილველად და მართველობის წევრთა ასარჩევად. წინადაც თქმულა და ამ კრებაზედაც ნათლად გამოიხატა, თუ რა მდგომარეობაშია ქართული დრამატიული დასი და თეატრი. რადა თქმა უნდა, რომ ჩვენის თეატრის მდგომარეობა მეტად დაქვეითებულია. ამაზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა მწერლობასა და საზოგადოებაში და დღეს მხოლოდ წინადვე ნათქვამი დამტკიცდა. რაც შეეხება იმას, თუ რა საშუალებით შესაძლოა ქართულის თეატრის გამობრუნება, ამაზედაც მრავალჯერ ყოფილა სჯა და ბაასი, მაგრამ აქედგან არა გამომდნარა-რა.

მიზეზი ჩვენის თეატრის დაქვეითებისა მრავალია და როცა ამ უბედურებაზე ვლაპარაკობთ, უეჭველად უველა მიზეზი უნდა ვიგულისხმოთ და არა ერთი რომელიმე მათგანი. საზოგადოდ როცა ჩვენს თეატრზე ლაპარაკობენ, ზოგი თეატრის დაქვეითებას დრამატიულ საზოგადოების მართველობის ხელმოკლეობასა სდებს ბრალად, ზოგი მოთამაშეთა დაუდევრობას, ზოგი საზოგადოების გულგრილობას, რეპერტუარის სიღარიბესა და ნაკლებულობას და სხვანი და სხვანი. თითოეული ერთს რომელსამე მიზეზს უთითებს და ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ მთელს კრებულს მიზეზებისას ანგარიში გაუწიოს ვინმემ. ამითი, რასაკვირველია, საქმეს თუ აკლდება, თორემ შემატებით-კი არა ემატება-რა. ამ უკანასკნელს ორს კრებაზედ საქვეუნოდ დამტკიცდა, რომ მრავალი მიზეზი ხელს უშლის ჩვენს თეატრს და დროა დავრწმუნდეთ, ერთის რომელისამე მიზეზის ახირება საქმეს ვერაფერს უშველის. უსამართლო კიდვა და მითქმა - მოთქმა საზოგადოებას გულს უცრუებს და, სხვათა შორის, ეს კიდვა და მითქმა-მოთქმაც ხელს უშლის და წინ ედობება ჩვენის თეატრის წინსვლასა და წარმატებას.

უველა მიზეზი, რაც ზემოდ დავასახელეთ, სახელდობრ, საზოგადოების მართველობის ხელ-მოკლეობა, ზოგჯერ მოთამაშეთა დაუდევრობა და მათის რაოდენობის ნაკლებულობა, ქართულის რეპერტუარის სიღარიბე, უველა ეს მიზეზი არსებობს მას აქეთ, რაც ქართული თეატრი დაარსდა და ამიტომ უველა ამ მიზეზს ანგარიში უნდა გავუწიოთ, თუ გვინდა, რომ საქმეს რამე ვუშველოთ, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ათიოდე წლის განმავლობაში ჩვენმა თეატრმა, მრავალის დამაბრკოლებელ მიზეზის მიუხედავად, რამდენიმე ნაბიჯი მაინც წადგა წინ. ეს გარემოება უეჭველად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როცა იმის ავ-კარგიანობაზე ვლაპარაკობთ.

ერთის სიტყვით, ამ უკანასკნელმა კრებამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზედ, მით უფრო, რომ საზოგადოების მართველობამ დაადგინა დასი არ იყოლიოს და დროამდე წარმოდგენები შეაჩეროს.

ა. ს—ი

ფელეტონი

გიორგი ბრწყინვალე

მეფე საქართველოსი

(დასასრული*)

XIV

აღდგენილს სამეფოს შინაგანი განახლება და განწყობა ესაჭიროებოდა და მეფემ სწორედ ამ საქმესაც მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. საჭიროც იყო: როგორც უკვე შევნიშნეთ, მონგოლების ბატონობამ სრულიად შელახა და შებილწა ქართველების შინაობა, შეწიკვლა ცხოვრების წესი და რიგი. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც სხვის ბატონობას მავნებელი გავლენა აქვს ერის ზნე-ჩვეულებაზედ. რაც უნდა იყოს, აქ საგულისხმიერო უფრო ისაა, რომ გიორგი ბრწყინვალემ სულიერადაც განაახლა „ყოველი საქართველო“, საკეთილო წესწყობილება დაადგინა და ახალი სჯული მისცა თავისს ერს. ორ გვარი მიმართულება და ხასიათი ცხადად ეტყობა მეფის სულიერს შემოქმედობას, მის სასჯულთა მდებლო ღვაწლს: მეფისათვის საკმაო არაა მარტო საქმე, იგი თეორიულადაც ილვწვის, საქმესა და აზრს, ცხოვრებასა და თეორიულს სჯულ-მდებლობას აერთებს, ერთურთს უმორჩილებს, სწორედ ისე, როგორც სახელმწიფოს შესაკრებლადაც აზრი და მოქმედება ერთმანეთს შეუფარდა და შეუსაბამა. აქაც, ამ შინაურის ცხოვრების განახლებაში, ჩვეულებრივი ნიჭი გამოიჩინა: რომელ საქმის გაკეთებაც-კი შეიძლებოდა, გააკეთა და ნელ-ნელა დაამთავრა ცხოვრების წესიერი განწყობილება.

სამწუხაროდ, მეფის სჯულ-მდებლობითს ღვაწლსაც თითქმის ისეთივე ბედი ეწია, როგორიც მის ცხოვრებას: გიორგი ბრწყინვალის სჯულ-მდებლობა დაიკარგა და ჩვენამდე მხოლოდ „ძეგლის დებამ“ მოაღწია, თუმცა ეჭვი არაა, რომ, ძეგლს გარდა, მან სხვა სამოქალაქო სჯულიც განუჩინა თავისს ერს. მართლაც-და, ჩვენის სჯულ-მდებლობის ისტორია და თითო-ოროლა აქა-იქ დარჩენილი საბუთი ცხადად გვიჩვენებს, რომ გიორგიმ მარტო „ძეგლის დებით“ არ დაასრულა თავისი იურიდიული მოღვაწეობა. ჯერ ერთი ესა, რომ ძეგლი მარტო მთიულთა სჯულია და მეფემ ამ სჯულის სარბიელი თითონვე ვიწრო ხაზით შემოფარგლა,—„ჯვართა ყელს აქეთ ხადაცხოტს, ზანდუკის ხევს, კიბეთ, ქვეშეთ და მენესოს ხემოდ ეს განაჩენი დავდეეთ“ *), მაშასადამე, ძეგლის ძალა და მნიშვნელობა მეტად პატარა სივრცეს შეიცავდა და ეს მაშინ, როცა დანარჩენი საქართველო ნაკლებად არ საჭიროებდა საკუთარი სჯული ჰქონოდა.

ცალკე სჯული მეფეს „ყოველ საქართველოსათვისაც“ განუჩენია. ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს წინასიტყვაობა, რომელიც მოსეს სამართალშია ჩართული და რომლისთვისაც, სამწუხაროდ, აქამდე ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ. წინასიტყვაობაში პირდაპირ მოხსენებულია, რომ მეფემ ისეთი სამართალი დააწესა, რომელსაც შემდეგში საქართველოს სამივე სამეფო ჰხმაროობდაო[57]). შეიძლება იგი წინასიტყვაობა მერე იყოს ჩართული და არ ეკუთვნოდეს თვით სჯულ-მდებელ ვახტანგს, როგორც ჰფიქრობს დიაღ პატივცემული ჩვენი მეისტორიე[58]), მაგრამ აქ საჭირო მხოლოდ ისაა, რომ წინასიტყვაობა ეთანხმება სხვა ცნობებსაც ამ საგნის შესახებ. სხვათა შორის, ვახტანგი საკუთარს თავისს სამართალში იხსენიებს ერთს საყურადღებო ამბავს—„მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა, რომ შუათანა ძმასაც ერთს რასმე მისცემენ“[59]) და ეს ამბავი ნათელს ჰფენს ხსენებულს საგანს.

*) იხ. „ივერია“ №№ 62, 63, 64, 66 და 67.

*) იხ. ძეგლის დების წინასიტყვაობა.

[57]) მოსეს სამართალი ვახტანგის სჯულის კრებაშია მოთავსებული. თვით წინასიტყვაობა ეგზეთხრობს ვახტანგ VI-ის ღვაწლსა და მერე ასე განაგრძობს: „იპოვნა და მოიშოვა მრავლითა იძულებითა და ფრიადითა შრომითა... დიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი, რომლითა სჯიდენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი...“

[58]) სახელდობრ დ. ზ. ბაქრაძე, იხ. ფრენკელისაგან რუსულად გამოცემული ჩვენი სჯულ-მდებლობა, Стр. 146, прим. 2.

[59]) ვახ. სამ. მუხ. ბ. მართალია, როგორც შენიშნავს ბ-ნი ბაქრაძე ფრენკელის გამოცემაში, ეს „განწესება“ აკლია ძეგლის დებას და არც სხვა სიგელ-გუჯრებში მოიპოვება, მაგრამ ამითი მარტო ის მტკიცდება, რომ გიორგი ბრწყინვალის სამართალი დაკარგულია და არ ვიცით, სჯული, სადაც იგი „განწესება“ ყოფილა ჩაწერილი.

ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 2 აპრილს, მღვ. ვ. კარბელაშვილის ხოროშ ტფილისის კლუბში გაჰართა სასულიერო და საეკკლესიო კონცერტი. ხოროშ იგალობა სხვა-და-სხვა საგალობლები. რიცხვით თოთხმეტამდე გალობა კარბელაანთ კილოსი იყო, რომელიც ნოტებად დააწყო ბ-ნმა იპოლიტოვ-ივანოვმა. ზოგიერთი საგალობელი ხოროშ კარგადა სთქვა, ხოლო ზოგიერთი-კი—სუსტად და ფრიად სუსტადაც. საზოგადოდ ხოროშ ნაკლებად იყო მომზადებული, ნოტებს რიგიანად ვერ არჩევდა, ხშირად სცდებოდა და ლოტბარი იძულებული იყო ხან პირველ ხმისთვის ესწორებინა, ხან მეორესთვის, ხან ბანისთვის. ამას გარდა თვით ქართული ხასიათი ჩვენის საეკკლესიო გალობისა საკმაოდ არ იყო დაცული, არ იყო დაცული იმიტომ-რომ ხოროში მონაწილენი მომეტებულად რუსნი იყვნენ, რომელთათვისაც ცოტა ძნელია ეროვნული ხასიათი დაიცვან ქართულს გალობაში. რაც შეეხება თვით ნოტებად დაწყობას კარბელაანთ გალობისას, უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვს საკმაოდ ზედ-მიწევნით შეუგნია ხასიათი ჩვენის საეკკლესიო გალობისა და მუსიკის მხრივ კანონიერად დაუწყვია ნოტებად. სასურველია მხოლოდ, რომ რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს ეს ნოტები.

*** გუშინ-წინ, კვირას, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში კრება ჰქონდა დრამატიულს საზოგადოებას. საზოგადოებამ წაიკითხა თავისის მოქმედების ანგარიში წარსულის სეზონის განმავლობაში და კრებამ დაამტკიცა. საზოგადოებას წარსულს წელში დანახარჯი ვერ აუყენებია და 320 მან. ვალი დასდებია. კრებას საკმაო ხალხი დაესწრო, ხოლო წევრთაგან-კი სულ თოთხმეტი კაცი იყო. სამწუხაროდ, დრამატიულს საზოგადოებას წევრებისაგან ჯეროვანი დახმარება არა აქვს და ხუთი მანათი ვერ შეაქვსთ თურმე, ეს მცირე წლიური გადასახადი. საზოგადოებას ამ უკანასკნელს სამს წელიწადში ცოტაოდნად გაუუკეთესებია თავისი ტანისამოსი და წიგნთ-საცავი. აწინდელ მართველობას ვადა გაუვიდა და არჩევანი უნდა მომხდარიყო ახლებისა. ამორჩეულ იქმნენ თითქმის ისევ სულ ძველი მმართველები: გიორგი თუმანიშვილი, დავით ერისთავი, ვასილ სულხანიშვილი, პეტრე გრუზინსკი, იოსებ ანდრონიკაშვილი, ვასილ თუმანიშვილი, ალექსი მირიანაშვილი და ერთიც ახალი კანდიდატად: ელ. მიქელაძე.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავარმართებელი კავკასიისა თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი კავკაზში უნდა ჩამობრძანებულიყო ამ თვის 3-ს. თავადი ტფილისს ჩამოვა ან ოთხშაბათს და ან ხუთშაბათს.

*** დღეს, ამ თვის 4-ს, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი, პალადი, თავის კარის ეკკლესიაში გადაიხდის წირვას პირველ-შეწირულისას.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რკინის გზის უფროს ექიმად, ბ-ნ გენზელმანის მაგივრად, დაუნიშნავთ ექიმი ბ-ნი ილინსკი, რომელიც უკვე შესდგომია თავისის თანამდებობის აღსრულებას.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის მღვთის-მეტყველებისა და დიდაქტიკის მასწავლებელი ბ-ნი პაველ სვეტლოვი ნეტინის ლიცეში სამღვთო წერილის მასწავლებლად დანიშნეს, ხოლო ამის ადგილზე გაამწესეს სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ბ-ნი არხანგელსკი.

*** **დ. დიდიჟანი:** წარსულის თთვის 24-ს მეტად შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა. ერთს ვისმე დავიდოს, სარწმუნოებით სომეხ-გრიგორიანს, ხანჯლით მოუკლავს თავისი საყვარელი ცოლი, ახალგაზდა ქალი. რა იყო მიზეზი ამ მკვლელობისა, ჯერ ნამდვილად არ იციან.

*** **ქ. ახალ-ბაიაზეთი:** აქ უცაბედად თავი მოიკლა აქაურმა ფოსტა-ტელეგრაფის მეთვალყურემ (надсмотрщикъ) ბ-ნმა ელასოვმა. საქმე ასე ყოფილა: ელასოვი სანადიროდ წასულა ეტლით. ეტლიდგან გადმოხტომის დროს თოფი წინ დაუბჯენია და თოფის ლულა ნიკაპ ქვეშ მოჰქცევია. ამ დროს თოფი გავარდა თურმე და თავისი პატრონიც ინაცვალა. საბრალო ელასოვი ჯერ სულ ახალგაზდა კაცი იყო და ამ მოკლე ხანში ცოლის შერთვას აპირებდა.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ გორის მაზრაში, სოფ. **ძველთში**, ეიღაცებს მოუკლავთ სამოც-და-ათის წლის მოხუცი აზნაური ტარიელ ტატიშვილი. განსვენებული მეტად მშვიდი და წყნარი კაცი იყო და არც ყმაწვილობისას და არ მოხუცებულობისას არავისთვის არა უწყენიებია-რა. ვინ იყო მკვლელი, ან რამ გაამეტებინა საბრალო მოხუცი, არავინ იცის.

გარდა ამისა, თვით ვახუშტიც თავისს „შემატებაში“ მოგვითხრობს: მეფემ... „სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა“... აქ, რასაკვირველია, სხვა სჯული უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და არა ძეგლის დება. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე შევნიშნეთ, სათემო კანონს შეადგენდა და მთელის სახელმწიფოსათვის საავალდებულო ძალა არა ჰქონდა.

მოიპოვება ერთი საბუთიც, რომელიც ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მეფემ საერთო სჯული დააწესა და „სისხლის დასაურვებლად“ საკუთარი ფული მოსჭრა, ეგრედ წოდებული „გიორგული“. მართალია, იგი გიორგული ძეგლის დებაში არაა ნაჩვენები, მაგრამ აღბულას სამართალი-კი ცხადად მოიხსენიებს: წინად ყაზან ყაენის ფული იყო ხმარებაში და ჩვენ მეფის გიორგის თეთრი გავაჩინეთო[60]). შემდეგ თვით ვახტანგიც

[60]) ...„ყაზანური თეთრი იყო... და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ყამისა თეთრი გავაჩინეთ, ორანი, ხუთი დანგი (ორიანი და ხუთ დანგიანი) წმიდა ვერცხლი“... აღბულას სამართლის წინასიტყვაობა. აქვე მოხსენებულია საყურადღებო ამბავი: მეფეს

დაბა ლ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ჯევათის მაზრა, 24 მარტი. წელს აქეთაც დიდი და მკაცრი ზამთარი იყო. თოვლი, რომელიც შარშან თვალითაც არ გეინახავს, დეკემბერშიევე მოვიდა და კარგა ხანიც იდვა. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ყინვა-სიციევემ აქაურს კვალობაზე უმაღლესს ხარისხამდე მიაღწია. საშინლად ჰყინავდა და ჰქროდა ხან ერთი და ხან მეორე ზღვის ქარი. ერთის კვირით მტკვარიც გაიყინა და ყოველიევე მოძრაობა და ამასთანავე თევზის ჭერაც შეუძლებელი გახდა. სალიანში ერთის ნაპირიდგან ველარ გადადიოდნენ მეორე ნაპირზე. ნავით სიარული საშიში გახდა, ბორანი-კი ჯერ გაყინული იყო და მერმე-კი ყინულის დაძერის დროს წყალმა მოიტაცა. იანვარმაც ბლომა თოვლი მოგვაყარა პირველ ხანებში, მაგრამ ის სუსხი-კი არა ჰქონდა, რაც დეკემბერს. თებერვალმა მშვიდობით, უწყინრად გაიარა. წლევანდელმა ზამთარმა აზარალა ადგილობრივი მცხოვრებნი მხოლოდ იმითი, რომ ყინვა-სიციევემ ძალიან შეაწუხა საქონელი. აქ ჩვეულებად არა აქვთ საქონლისათვის საკვების საზამთროდ შენახვა. მთელი წელიწადი მინდერად იკვებება აქაური საქონელი და წელს-კი ყინვების გამო შეუძლებელი იყო მინდერად გაშვება. ზარალს გარდა ყინვა-სიციევემ დიდი სამსახურიც გაუწია მთელ მხარეს. სუსხიან ზამთრის მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ სალიანში მოისპო ის გადამდები სენი, რომელიც ასე მძვინვარებდა („ივერია“ № 273) და რომელმაც ორის თთვის განმავლობაში, როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, იმსხვერპლა რვა ასი სული მოსლემინი. მთავრობამ, თუმცა დიდი ყურადღება მიაქცია ამ გადამდებს სენს, მიუსია ერთი ჯელგა ექიმ-ფერშლები, მაგრამ ესენი სენის წინაალმდეგ მაინც ბევრს ვერაფერს გააწყობდნენ, თუ არ მკაცრი ზამთარი. ყინვა-სიციევემ გასწმინდა დახაშმული ჰაერი და მოსპო ავადმყოფობა, თუ სამუდამოდ არა, დრომდე მაინც. ამ თთვის პირველ რიცხვებში ჩამოთბა და სიკვდილმა ცოტად იმატა. თუ მთავრობამ ეხლავე არ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღებაო, ამბობენ მცოდნე კაცები, და არ შეუდგა ეხლავე თავ-და-თავ მიზეზების მოსპობას, სალიანს ისევ ის დღე დაადგება, რაც შარშან შემოდგომსაც ადგაო. ამისათვის საჭიროა მიაქციონ ყურადღება თვით სალიანისა და „ვატაგების“ სისუფთავეს და გამაგრდეს მდ. არაქსის და მტკვრის ნაპირებიო, რომ ნაპირებიდგან გადმოსულმა წყალმა ისეთი ჭაობები და ტბები არ დააყენოს, როგორც, მაგალითად, ახტალის მინდორში, სალიანის მახლობლად.

სალიანი ერთი უწმინდურ ქალაქთაგანია. სისუფთავისა ამას არა ეტყობა-რა არც შიგნით და არც გარეთ — ქუჩებში ეზოები ნაგვითა და ეაივაგლახითა აქვთ სავსე და ქუჩებზედ ხომ ლაპარაკიც არა ღირს. დღემდე აქ ერთი ხეირიანი ქუჩა არ მოიძებნება. საკმარისია, ნახევარი საათი იწვიმოს და სალიანში ისეთი ტალახი ადგება, რომ არამც თუ ფეხით, ეტლითაც ძნელი იქნება სიარული. ვისაც თვალით არ უნახავს სალიანი წვიმის შემდეგ, ძნელად წარმოიდგენს, თუ რა ტანჯვა-წვალებით დაიარებიან აქ ან ფეხით, ან ეტლით. წვიმის შემდეგ, ვინ მოსთვლის, რამდენი ცხენი ჩაფლულა და ან რამდენი ეტლი დამტვრეულა ტალახში თვით იმ ქუჩაზე, რომელზედაც დაბრძანდება აქაური პოლიცია. ეს არის ერთად-ერთი ფართო ქუჩა და ესეც ასე ბინძურად შენახული და შეუკეთებელი. ეხლა მიუყვია ხელი ქალაქის ახალ ბოქაულს ბ. გ—ს და ქუჩის აქეთ-იქით მხრივ ორ ადლამდის სიღრმით თხრილები გაუჭრევინებია, რომ წვიმის წყალი შიგ ჩავიდეს. წვიმის წყლისა-კი რა მოგახსენოთ და ვინც ღამე უფარნოთ სიარულს გაჰბედავს ამ ქუჩაზედ, ის კი უეჭველად ჩაბძანდება თხრილში თავპირის დასამტვრევად და გამკეთებლის სამლოცველოდ. დალოცვილს ჯერ ფარნებით უნდა გაენათებინა ქალაქი და მერე ისე გაეთხარა ეს ორმოები.

ამ თვის 20 მობრძანდა სალიანში ბაქოს გუბერნატორი, რომელსაც საგნად ჰქონდა ადგილობრივად შეეტყო სანიტარული მდგომარეობა სალიანისა და „ვატაგეებისა“. სალიანიდგან წაბრძანდა ხიუდოს კულტუკში, სადაც ცხოვრობენ ზღვის მეთევზეები და იქიდგან ამოვიდა ბოქი-პრომისლში. კულტუკს ასახელებენ, ვითომ იქ იხრწნება ჰაურიო, იქ იბადება ყოველივე სენიო. მართალია, კულტუკში ძლიერ ცუდი ჰაერია, მაგრამ ისიც მართალია, რომ კულტუკელები-კი არ არიან ამაში დამნაშავენი, არამედ მტკვრის მოიჯარადრენი, რომელნიც მტკვარს აძლევენ თევზის თავებს და შიგნეულებას და მტკვარიც ეზიდება ზღვაში და შემდეგ ზღვა ჰრიყავს კულტუკს ახლო, სადაც ლპება ამოდენა უწმინდურება და სწამლავს ჰაერს. ბოქი-პრომისლში დაიარა გუბერნატორმა სხვათა შორის მუშათა სადგომები (ყაზარმები) და არ მოეწონაო, ან როგორ უნდა მოსწონებოდა, როცა დღეს თუ ხვალ ეს სადგური თვითონვე უნდა დაიქცეს. გუბერნატორი აქედგან ისევ სალიანში წაბრძანდა და ამ უკანასკნელიდგან-კი ჯევათს მტკვრისა და არაქსის ნაპირების დასათვალიერებლად და მათის გამაგრების შესახებ განკარგულების მოსახდენად. სცდილობენ როგორმე გაამაგრონ ნაპირები, რომ წყალმა არ წალეკოს წრევანდელი მოსავალი მაინც. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს, მეტად კარგი ჯეჯილებია, სწორედ ღვთის თვალი ტრიალებს შიგა.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი *)

ბიბლიოთეკა და წარწერანი წიგნებზედ

ჯვარის მონასტერში

„1 საკითხავნი დღესასწაულთანი 8 და 14 სეკტემბერს 21 ნოემბერს. ესენი არს თარგმნილი ეფრემისი [4]).

*) იხ. „ივერია“ № 70.

[4]) სცხოვრებდა ბაგრატ კურატპალატის დროს (980—1014)

დეკემბრის 9 და 25 თარგმნილი ევთიმესი და სხვანი მათ ორთაგან არიან თარგმნულნი.

2 ხუცურად ხელ-ნაწერი ეტრატზედ სახარება 4 თავი. ამის ბოლოს სწერია: დაიწერა სახარება ესე მას ჟამსა ოდეს შალვა სპარსეთით შამოვიდა ხელითა იოვან-ე... ამა და ამისითა. გვარი ვერ გავიგეთ.

3 სამოციქულო ეტრატზედ ხუცურად. ამის ბოლოს სწერია: ღირს ვიქმენ მე გლახაკი იოვანე ვარძიელი აღდგომისა დეკანოზი მოგებად წმიდასა ამას წიგნსა. ვინც იხმარებდეთ, მოგვიხსენეთ. დაიწერა წინა-შე საფლავსა წელსა ლბ თურქთა ქონებისა ოდეს კლიტენი მათ ჰქონდეს საწვრთელად ცოდვათა ჩვენთათვის, არცა ვის უტევებდეს შესვლად თვინიერ დიდისა ჭირისა და საფასისა, არცა გამოსვლად. საუკუნომცა არს კურთხევა კირილე მტბევრისა გამომზრდელისა მზრუნველისა და მოღვაწისა ჩემისა, რამეთუ მას ჟამსა ჯვარს მკვიდრობდა; კვალად ჯვარის მამისა იოვანესი და ყოველთა ძმათა ჯვარელთა საუკუნომც არს ხსენება და აწ ვინცა ჯვარის მონასტერს გამოახვას, მისითა მადლითა და წმიდა საფლავის მადლითა კრულია. ესე მსხვილად დავსწერეთ, რომ ზოგნი მოხუცებულნი იყვნეს.

4 ხუცურად ნაწერი სქელს ქაღალდზედ წიგნი, რომელსაც ბოლოს სწერია: დაიწერნეს წმინდანი ესე თვენი ხელითა მოძღვრისა კირილესითა და მოწაფისა მისისა მარკოზისათა და ვინცა ამა მონასტერსა კაპპათას გამოახვას, იუდასთანამცა არს ნაწილი მისი და სხვანი.

5 მეორეს თვენზედ სწერია: ცოდვილმან ბერმან თევდამან დავსდევ თვე ესე მაისი ქრისტეს საფლავსა შინა, რათა მუნ მყოფნი, მოგვიხსენებდნენ და თუ სადმე*) ქართველნი ღარ იყვნენ აღდგომას მერმე მეტოქს დაიდვას და ვინცა იერუსალიმით სხვაგან წაიღოს ქრისტეს საფლავის მადლითა კრულია.

6 სახარების თარგმანი სქელ ქაღალდზე ნაწერი. ამის თავს სწერია:

*) თუ რადმე?

ჯვარის მონასტრის ტაძარსა და იოვანე მახარებლის საყდრისა მეორეთ აღმაშენებელსა ყოველთა ეპისკოპოსთა უნარჩევესსა კუმურდოველსა სერაპიონს შეუნდოს ღმერუმან და მისთა დედ-მამათაცა. კვალად სწერია: ესე წიგნი ჯვარისა მეფეთ მეფისა დავითის [5]) შესანდობლად მე მოძღვარმან მისმან ბერმან ილარიონ დავიხსენ სპარსთაგან მას ჟამსა ოდეს ჯვარის მონასტერი სპარსთა დეეჭირა. კვალად სწერია: ესე წიგნი მეფისა სახლის-უხუცესმან ბეენა ჩოლაყაშვილმან [6]) შეეკაზმინე ბატონის მეფის გიორგის [7]) სადღეგრძელოდ. ამა წიგნის ბოლოს სწერია: ესე თარგმანი სახარებისა კაპაათური მე ანტონი ფრიად ცოდვილმან დავიხსენ სპარსთაგან საფასითა ჩემითა და მუნვე შევსწირე.

პატრონსა მეფესა გიორგის ძესა მეფესა ალექსანდრესა [8]) შეუნდოს ღმერთმან ჯვრის მამად მოვლინებულსა ჩოლოყაშვილსა სახლის უხუცესსა ბეენას შეუნდოს ღმერთმან. მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარსა ზედა, დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა და კვალად ნებითა ღვთისათა ფრანგთა დავაგდებინე და მათი რაც იყო კანდელი და სხვა გარეთ გამოყვარე.

ცოდვილსა ციციშვილსა მროველ ყოფილსა შიოს შეუნდოს ღმერთმან.“

ა. ქუთათელაძე

(დასასრული იქნება)

[5]) † 1001 წ.

[6]) 1515.

[7]) 1515 წ.

[8]) 1413—1442.

უცხოეთი

საფრანგეთი. გაეხარდათ რესპუბლიკელებს, ეს არის მოვიშორეთ თავიდამ ბულანჟე, წავიდა, მოგვშორდაო. მაგრამ ბულანჟე, თუმცა დღეს ბელგიაშია, მაინც მოსვენებას არ აძლევს ქვეყანას, მეტადრე პარიჟს. როცა გენერალი გაიქცა, ათას გვარი მითქმა-მოთქმა დატრიალდა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას: ძალიან ამბობს, რომ გიორგული საყოველთაოდ იხმარებოდაო [61]). რასაკვირველია, ყველა ეს ვუჩვენეთ მარტო იმიტომ-რომ, თუ გიორგული „საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა“, მაშ ფულის მომჭრელს „სისხლიც“ გაუჩენია, სჯულიც დაუდვია.

სამწუხაროდ, გიორგი ბრწყინვალის სჯულ-მდებლობა დაიკარგა და ძეგლის დების გარდა მხოლოდ თითოოროლა ნაწყვეტი ჭლიადებს „სამართლის მომქმედის“ მოღვაწეობას. „შემატების“ დამწერი აქაც ძვირობს, „მცირედ“ უბნობს და ამიტომ მეტად ძნელია გადაჭრით და საბოლოოდ

ხელ-უხლებლად დაუტოვებია აწყურისა და საფარის (მონასტრები არიან) წესდებანი,— „აწყურისა და საფარისა ვითა ძველადგან ყოფილიყო არცა დიდსა მეფესა მოეშალა“. საფარა, ეს საკვირველი ნაშთი ხუროთ-მოძღვრებისა, ბექამ ააშენა.

[61]) ...„პირველ ყამურს თეორს გიორგულს ეძახდნენ; ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა და ის გიორგული რაერთისაცა წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ“ ვახ. სამ. მურ. ივ. აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ გიორგულს დანგიც ერქვა და ფასით თეთრს უდრიდა, შაური ჭღირდა, როგორც ბროსსე განმარტებს. იხ. ჩვენი სჯულ-მდებლობა რუსულად ფრენკელისაგან გამოცემული, Стр. 96.

ითქვას რამე მეფის სჯულ-მდებლობაზედ. მხოლოდ ერთის თქმა-კი შეიძლება და სახელდობრ იმისი, რომ გიორგი ბრწყინვალემ თანასწორად ყურადღება მიაქცია როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო სჯულს საქმეც იმაშია, რომ «კეთილმა ხუროთ-მოძღვარმა» სრულიად განაახლა სამეფო და რადგანაც ეკლესია და სარწმუნოება ქვაკუთხედი იყო სამეფოსი, ამიტომ „შემოიკრიბნა კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი ივერიისანი და განაახლნეს წესნი საეკლესიონი“...

ეს „შემოკრიბნა“ ღირს შესანიშნავი ცნებაა და გვიჩვენებს, რომ სჯულ-მდებელი ჩვეულებრივს გზას არ ასცდა: საქართველოში არც ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო საქმე და კერძოდ სჯულ-მდებლობა «კრების» დაუსწრებლად არ გაკეთდებოდა ხოლმე, სასულიერო და საერო წარჩინებულთა კაცთა „კრება“ გვერდით უდგა მეფეს და რჩევას აძლევდა, ჰბჭობდა. იგი „კრება“—ეს ჩვეულებრივი ფორმა ერის წარმომადგენელობისა—ჩვენის სახელმწიფოს საძირკველს შეადგენდა, ამ საძირკველზედ იყო დაფუძნებული ერის უფლება და მოვალეობა და რაც-კი რამე კეთდებოდა, „კრებით“ კეთდებოდა... თვითმპყრობელმა სჯულის-მდებელმა „კრებას“ მიჰმართა და დავით აღმაშენებლის მსგავსად მოუწოდა ყველას, ვისაც-კი საქვეყნო საქმისათვის გული შესტკიოდა და «მეცნიერება» შესწევდა [62]).

მაგრამ იგი მარტო საეკლესიო სჯულისა და წესის დადებას არ დასჯერდა. საჭირო იყო ტაძრებისა და ეკლესიების განახლებაც და ეს მით უფრო, რომ შინაურის არევ-დარევის დროს და მტრის შემოსევის გამო არა თუ მარტო სარწმუნოება შეილახა, თვით წმინდა სადგურნიც კი დაირღვნენ. ბექას სკოლაში აღზრდილს მეფეს, რასაკვირველია, ტაძრების აგება ღვთის საამურ და კეთილ საქმედ მიაჩნდა და ხუროთ-მოძღვარმა „ეკლესიანნი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა“... ასე რომ საეკლესიო წესისა და სჯულის განახლებას ზედ დაერთო ტაძრების აღდგენა, გამშვენიერება. მართლ-მადიდებლობა გაბრწყინდა და სარწმუნოება ელვარე სხივს ჰფენდა „საუფლის-წულო“ საქართველოს მარტო თავისის შინაგანის მადლით-კი არა, არამედ გარეგანის სიტურფითაც!.. დაუმატეთ ამას, რომ მეფემ სხვაფრივაც განაახლა ქვეყანა—«განაესნა და აღაშენნა ქვეყანანი», უვარგისი „მოწესენი“, მოხელენი გადააყენა, მათ მაგიერ მცოდნე და ზნეობიან კაცებს ჩააბარა გამგეობა და ქვეყნის პატრონობა და მხოლოდ მაშინ წარმოიდგენთ მის ღვაწლსა.

ზემოდ შევნიშნეთ, რომ გიორგი ბრწყინვალემ სამოქალაქო წესიც განაბრწყინვაო, მაგრამ „შემატება“ ამ ამბავს მხოლოდ იხსენიებს და არ განმარტებს-კი როგორ და რა ნაირად მოხდა ეს გაბრწყინება. რასაკვირველია, „შემატების“ ორიოდე ნაწყვეტი საკმაო მასალა არაა და უნებლიედ ჩვენც გვერდზე უნდა აუაროთ ისეთს სახალისო და საყურადღებო ამბავს, როგორიც „სჯულისა და სამოქალაქო წესთა“ გაბრწყინვებაა... დავსძენთ მხოლოდ, რომ მეფე თვით უბოძებდა ხოლმე მთავარ-ერისთობას (მაგ., მამია დადიანის ძეს გიორგის დადიანობა, ყვარყვარეს ათაბაგობა) და ამ გარემოებას გავლენა უნდა ჰქონოდა „სამოქალაქო წესთა“ გაბრწყინვებაზედ.

XV

არ შეიძლება ვსთქვათ, რომ მეფე გიორგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. თუ ბროსსეს გამოანგარიშებით იგი მართლა 1286 წ. დაიბადა და «შემატების» სიტყვით 1346 წ. გარდაიცვალა, მაშ სამოცის წლისა ყოფილა. მოხსენებული არაა, როგორ დაასრულა მეფემ ქვეყნიური სიცოცხლე და ზოგადი ცნობა—„გარდაიცვალა ყოველითა კეთილითა და ღვთის მსახურებითა აღსავსე ტფილისს“ ხომ საყურადღებოს არაფერს გვაუწყებს. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ მან განმართა სამეფო, ყველა საჭირო საქმე განაწყო და მხოლოდ მაშინ წარსდგა სამსჯავროსა წინაშე. საქაო განაჩენი ერმა უკვე დაუდგინა თავისს რჩეულს და იგი განაჩენი ბრწყინვალედ წოდებაა,—მეფემ თავისის ღვაწლით განაბრწყინვა სამშობლო და ამიტომ ბრწყინ-

კარგადა ჰქმნაო, ჩვენც იმის ალაგს მაგრე მოვიქცეოდითო,—იძახიან ერთნი. შეურცხვეს კაცობა, მაგის დიდი გული ჰქონდაო!—ლაპარაკობენ მეორენი. მიშელენმა და ტიებომ ხომ სულ დაანება თავი ბულანჟელების კომიტეტს. იმის ხელ-ქვევით ყოფნა, იმასთან სამსახური და საქმის კეთება სირცხვილია, სიკვდილიაო. რაღა გენერალია, რაღა კაცია ის კაცი, რომელიც გარბის, რომელიც უფრთხის პარლამენტსაო. მერე თითონვე ემუქრებოდა პარლამენტს. რა არის პარლამენტიო?—ამბობდა ბულანჟე—ცოცხს რომ წამოაველო ხელი, ყველანი გაიბნევიანო. გამოჩნდა, რომ პარლამენტი ძალა ყოფილა და საშიში ძალაც. პარლამენტის შიშით ამოიძუა კუდი ბულანჟემ და გაჰკურცხლა ბელგიაშიო.

— მთავრობას, ანუ ტირარის სამინისტროს, რომელსაც ბრძოლის სამინისტროს უწოდებენ, ამ ბოლოს დროს ცოტა არ იყოს ემდურებიან რესპუბლიკელები. მხნედ ვერ მოიქცა, დროზედ არ წაავლო საქმეს ხელი, ზოზინს მოჰყვა და ამიტომ ბოლო ვერ გაატანაო. ის რომ მხნედ მოქცეულიყო, არ გაეჭიანურებინა საქმე, მთელი ყუთი, ბულანჟეს გასამტყუნებელის საბუთებით სავსე, არ გაჰქრებოდა და საზღვარ-გარეთ ვერ ამოჰყოფდა თავსაო. ეხლა წავიდნენ და სდიან, იქიდამაც ათას თავ-სამტვრევს აუჩენს მთავრობას. იმის პარიჟში ყოფნა საჭირო არც-კია, იმისი დასი უიმისოდაც იმოქმედებს აქაო.

— ძალიან გაეხარდათ ბულანჟელებს, როცა გენერალ-პროკურორმა ბუშემ უარი სთქვა, მე ვერ დაეუწყებ გენერალს დევნასა და მტყუნებას, რადგან საბუთები საკმარისი არ არისო. ამის გამო ბუშე დათხოვნილ იქმნა და მის მაგიერ გენერალ-პროკურორობა ბოპერერს მიანდეს.

— ეიფელის კოშკი უკვე გაუთავებიათ. 300 მეტრამდე ასულა მისი სიმაღლე, აუმართნიათ კიდეც ზედ დროშა და 21 ჯერ ზარბაზანიც გაუსროლიათ.

— სამინისტროს ტირარისას არა უშავდა-რა კიდევ უკანასკნელ დროამდე, რომ ერთის კანონ-პროექტის გამო ძრიელ არ დამარცხებულიყო. სამინისტროომ შეიტანა წინადადება, რომ აეღაგმოთ ჟურნალ-გაზეთობა და ვსდევნოთ ის მწერალნი, რომელნიც თანამდებობის კაცებს აგინებენ და შეურაცხჰყოფენო. ამის წინააღმდეგ ბევრი ილაპარაკა ძრიელ გობლემ, რომელსაც დიდად პატივსა სცემენ, როგორც დამოუკიდებელს კაცს გობლემ სთქვა, რომ მაგ კანონის შეწყნარება ძალიან ლიპს გზაზე დაგვაყენებსო. ტიერმა სთქვაო, რომ თავისუფლება მწერლობისა, თუ მეტად მიმზიდველი არ არის, ყოვლად საჭირო ხომ არის და არის. საქმე მხოლოდ ის არის, სად არის საზღვარი იმისი, რომ აქ თავისუფალი განსჯაა, ხოლო აქ-კი დანაშაულობაა. ეს პოლიტიკის საგანია და ამიტომ მაგ გვარი საგნები უნდა განიხილოს ნაფიცთა მსაჯულთა კრებულმაო. ახლა თქვენ ნაფიცთა მსაჯულებიც არ გინდათ და პირდაპირ კანონით გსურთ შეზღუდოთ თავისუფლება მწერლობისა. მე მაგ კანონისკენ არა ვარ და არც ვიქნები. მერე ეხლა, როცა რევოლიუციის ასის წლის იუბილეისა ვდღესასწაულობთ, მაგ კანონის მომხრეობას ვერას გზით ვერ გამაწევინებთო. გობლეს შემდეგ მილიერანმა ილაპარაკა და ძალიან ცხარედაც ილაპარაკა ამ კანონის წინააღმდეგ. ერთხელ ერთი გაზეთი იმიტომ შეიქმნა მსჯავრ-დადებული, რომ იმან თითქმის შეურაცხჰყო სარწმუნოებაო. ერთხელ გამბეტას სიტყვები: „ან დაგვემორჩილეთო, ან თავი დაანებეთ თქვენს თანამდებობასაო“ საწყენად მიიღეს და ასე განსაჯეს: ეგ სიტყვები მუქარაა, ხოლო მუქარა შეურაცხყოფააო. პალატამ გადასწყვიტა 306 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 236 ხმისა უარ-ეყო მთავრობის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი.

წვრილი ამბები

პარნელის მიერ დაწყებულმა პროცესმა გაზ. „Times“-ის წინააღმდეგ გამოაშკარავა განსაკუთრებული პირობანი ამ გაზეთის გამოცემისა. სასამართლო იძულებული შეიქმნა გაზეთის დავთრები გაეცხრიკა. აღმოჩნდა თურმე, რომ „Times“-სს, ამ 101 წლის წინად დაარსებულს ჯონ ვალტერ მირეულის მიერ, ეხლა ასამდე პატრონი ჰყავს. ყველა ამ ასს კაცს სხვა-და-სხვა ნათესაური დამოკიდებულება აქვსთ გაზეთის პატრონთან. ვალტერი, გაზეთის ოფიციალური პატრონი, $^{3}/_{32}$ ნაწილის მოსაკუთრეა. არავის არა აქვს ნება, არც ჩაერიოს იმისს საქმეში და არც თვალ-ყური ადევნოს. ვალტერი ვალდებულია მხოლოდ, რომ ყოველ ექვსს თთვეში ანგარიში შეადგინოს თავისის მოქმედებისა. ვალტერს წელიწადში მოგებითგან 10,000 მან ეძლევა, თუ მოგება 50,000 მ. მაინც უდრის, თუ ამაზედ ცოტაა, მაშინ ვალტერს ყოველ ნაკლებ 1,000 მან. 200 მანათს უჭერენ. ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, უკანასკნელს ათს წელიწადში წმინდა მოგება გაზეთს ჰქონია 2.800,000 მან. ამ ათს წელიწადში ყოველ დღე 100,000 ეგზემპლიარად იბეჭდებოდა გაზეთი. მთავარ-რედაქტორს, ბეკლს, წელიწადში 50,000 მან. ჯამაგირი ეძლევა. ყოველ მეთაურს წერილში რედაქტია ისდის 120—150 მანათს. გაზეთის პატრონებს მოგება ყოველ ექვს თთვეში ეძლევათ. მოგებაში მონაწილეთ გაზეთის მიმართულებაში არავერი დაკა არა_ქვსთ.

— ერცჰერცოგს რუდოლფს აპრილის პირველს ორს კვირაში დასასფლავებენ თურმე. ავსტრიის განსვენებულს მემკვიდრის კუბოს იმპერატრიცა მარია-ტერეზიას კუბოს მარჯვნით დასვენებენ. რუდოლფს სადად და უბრალოდ დასასფლავენ.

— ამ ბოლოს დროს ავსტრიაში ძალიან ადევნებენ თვალ-ყურს უცხოეთიდგან შეტანილს წიგნებს, განსაკუთრებით იმისთანა თხზულებათ, რომელიც ასე თუ ისე შეესება განსვენებულ ერცჰერცოგ რუდოლფს. ავსტრიის დამოუნის მოხელეებს დავალებული აქვსთ, რუდოლფის შესახებ თხზულებანი ბოლიციას გადასცენ.

— თ. ბისმარკს ამას წინად თავისი საყვარელი და ერთგული ძაღლი მოუკვდა. ეხლა ახალი ძაღლი უშოვნია რეგინის კანცლერს. იმპერატორს ვილჰელმ II-ს კანცლერის დაბადების დღეს მშვენიერი ძაღლი უჩუქებია. ამ ძაღლისთვისაც უწინდელი სახელი „ტირასი“ დაურქმევიათ.

— ახირებული დამზღვეველი საზოგადოება დაუარსებიათ მონრეალში, კანადას:—პატიოსნებას აზღვევს ეს ახალი დაწესებულება. ერთის იქაურ გაზეთის სიტყვით, ეს საზოგადოება იზღვევს ბანკებისა, კასებისა, საკაკრო სახლებისა და სხ. მოხელეთა მოქმედებას, და თუ კინიტობაა ამათგანმა კინმემ მოიპარა რამე, ან მოატყუა კინმე, საზოგადოება უხდის ბანკს და ან საკაკრო სახლის პატრონს. კისაც თავისი დაზღვევა 7,500 მანეთად უნდა, ყოველ წლიე ბრემიად $52^{1}/_{2}$ მან. უნდა შეიტანოს. რაღა თქმა უნდა, დაზღვეული კაცი უფრო ადვილად იშოვნის სამსახურს, ვიდრე დაუზღვეველი. მხოლოდ იმას იზღვევს საზოგადოება, კისაც სამის კაცის რეკომენდაცია აქვს. ამას გარდა საზოგადოებას უფლება აქვს თვალ-ყური ადევნოს კერძო ცხოვრებას ყველა დაზღვეულისას და ამისათვის განსაკუთრებული საიდუმლო პოლიციაც ჰყავს. თუ კინიტობაა დაზღვეულმა რაიმე დანაშაული ჩაიდინა, საზოგადოება კანონისამებრ სდევნის დამნაშავეს.

დეპეშა

1 აპრილი

მოსკოვი. რუსეთის სავაჭრო ნაოსნობის დამხმარებელ საზოგადების გუშინდელს კრებაზე შულიატიკოვმა წაიკითხა მოხსენება ასტრახანისა, ბაქოსი და ნიჟნი-ნოვგოროდის საბირჟო კომიტეტებისა. კრებამ დაადგინა მხარი მისცეს იმ კომიტეტებს.

ბალლა-იშმი. კასპიის იქითა მხარეს ერთს მთაში, რომელსაც ნავთის მთა ეწოდება, დიდ-ძალი ნავთი აღმოჩენილა.

პარიჟი. სენატმა დაამტკიცა ბაქის მომატება ჭვავსა და ჭვავის ფქვილზე.

სენატმა დაადგინა შეუდგეს ბულანჟეს საქმის გამოძიებას.

პეტერბურგი. „მართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია საფრანგეთის ოფიციალური დოკუმენტები აშინოვის საქმის შესახებ და აგრეთვე მოხსენება ჩვენის ვიცე-კონსულისა ქაირში ბ.ნ ივანოვისა. ივანოვი იუწყება, რომ ადმირალი ოლრი და გემის კაპიტანი ვერონი ვნახეო: ადმირალმა გრძნობით საესე სიტყვებით მიამბო ეს სამწუხარო გარემოება და როცა აშინოვის ჭირვეულობას შეეხო და სამის ბავშვის სიკვდილი მოიხსენია, თვალებზე ცრემლი მოადგაო. კაპიტანმა ვერონმა მიამბო, რომ აშინოვს სამჯერ მოესთხოვეთ დამორჩილება. მე თვითონ ვნახეო, რომ დრაგომანმა გადასცა წერილი აშინოვს. როდესაც დანიშნული ვადა გავიდა, მხოლოდ ზარბაზანი განგებ მაღლა გავისროლეთო. აშინოვმა ცოტათი დროშა ქვევით დასწია, მაგრამ ხელახლა ამართა და ეს ხომ მეტი თავგასულობაა. როდესაც ნამდვილი სროლა დაიწყეთ, მხოლოდ მაშინ გამოჰფინეს თეთრი დროშაო. ჩვენს ოფიცერს, რომელიც გაეგზავნეთ, აშინოვმა უპასუხა, რომ ბლოკგაუზს თავს არ დავანებებო. კაპიტანმა მოინდომა ექიმების გაგზავნა, მაგრამ ობოკის გუბერნატორმა გვაცნობა, რომ საშიშიაო. ვერონმა სთქვა, რომ ზარბაზნის სროლა ვარჩიეთ ნაპირზე ჯარის გაყვანას, რადგანაც მეტი უბედურება იყო მოსალოდნელიო. მეორე დღეს მოვიდა ადმირალი და სამასი კაცი გაიყვანა ნაპირზე და ბლოკგაუზი დაიჭირა დაუბრკოლებლად. უფროს-ერთს რუსს, არხიმანდრიტ პაისისა, აშინოვისა და ზოგიერთ გარდა, დაბრუნება უნდოდათ სამშობლოში. არხიმანდრიტი კაპიტანის ოთახში დაბინავეს და კაპიტანთან ერთად სჭამდა პურს. კაპიტანი ამბობდა თურმე, რომ ყველას კარგად ეჭირა თავი გარდა აშინოვისა, რომელსაც თავისის საქციელით მოთმინებიდგან გამოჰყავდა ფრანგები. ვერონის ნახვის შემდეგ ივანოვს უნახავს თავისი თანამემამულენი. ამათ რუსეთში დაბრუნება უნდოდათ და ფრანგების მადლიერნი იყვნენ. ზოგი რუსი აშინოვის მომხრე და ერთგულია და ვინც განათლებული იყო, აშინოვისაგან თავის დაღწევას ლამობდა. აშინოვის თანამხლებ-

---

ვალ უნდა ეწოდებოდეს გვირგვინოსანს მოღალეესაო... ზეციურისა და საიქიო განაჩენისა ხომ არავინ-რა უწყის, მხოლოდ ეს-კია, რომ გიორგი ბრწყინვალ ეს, როგორც კერძო კაცს, იმედითა და სასოებით შეუძლიან წარსდგეს პირუთვნელ მსაჯულის წინაშე, «რამეთუ იყო ჰეროვნებით ფრიად მშვენიერ და ახოვნებით უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა, ქვრივთა, დავრდომილთა შემწყნარებელი».

ერთი გარემოება პირველის შეხედულობით თითქო ამცირებს მეფის ძლიერებასაო: იგი ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როცა მონგოლების ბატონობას ფრთები ჩამოვარდა და, მაშასადამე, ადვილი იყო მათი მორევაც. მართალია, მარჯვე დრო ეხმარებოდა გიორგი ბრწყინვალეს და იმანაც, იქნება, ამიტომ ასე ადვილად შეასრულა მძიმე საქმე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი წინაპარნიც უფრო ჟამთა ვითარებისა გამო სძლევდნენ ხოლმე ძლიერს გარეშე მტერს[63]). თუ არ მარჯვე დროს, ხაქართველოს არ შეეძლო განედევნა მონგოლნი, რომელთაც, აზიას გარდა, შუაგულ ევროპამდე მიიტანეს იერიში. საქმეც იმაშია, რომ მეფემ ხელიდამ არ გაუშვა შემთხვევა და მტერს მხოლოდ მაშინ გაემკლავა, როცა შესაძლო იყო. ასე იქცეოდა თითოეული ჩვენი დიდებული და წარჩინებული მეფე, რომელმაც-კი ძლევა შეჰმოსა სამშობლოს და თვით უდიდესი დავით აღმაშენებელი ამ გზას მისდევდა და სხვას არაფერს.

დროთა და ჟამთა ვითარებას ვერ ვინ წაუვა. ამის სინამდვილეს შემდეგი თავ-გადასავალი ამტკიცებს. სწორედ ორმოცმა წელიწადმა გაიარა გიორგი ბრწყინვალის შემდეგ და საქართველოსაც ახალი რისხვა მოეკლინა. საშინელი ბარბაროსი ლანგთემური დიდის ჯარით შემოესია სამეფოს. ბაგრატ მეხუთე, დიდად წოდებული, თუმცა „ორასითა მხედრითა არა ჰრიდებდა ათასთა და უმეტესთაცა და მოსწყვედდა სრულიად“, მაგრამ ვერას გახდა. მთელის ექვსის თთვის განმავლობაში ქ. ტფილისის გალავნის გარშემო თითქმის ყოველ დღე მახვილის ტრიალი-ღა სჩანდა და სისხლის ნიაღვარი იღვრებოდა. მხნედ იბრძოდა ბაგრატ, მაგრამ იგი და დედოფალი ანნა 1387 წ. მაინც დაატყვევეს. მეფე - დედოფალი ექვსს წელიწადს ჰყავდათ ტყვედ. დიდი და აღუთვალავი უბედურება დაადგა საქართველოს,—„არსადა დაშთა დაბანი და შენობანი წარუტყვენველად“...

არც ბაგრატ დიდის შვილი გიორგი მეშვიდე იყო ნაკლებად შესანიშნავი ვაჟკაცი და მეომარი. პირველად მან კიდეც სძლია თემურის ლაშქარს, მამაცად ებრძოდა მრისხანე მტერს, ასე გასინჯეთ, ბრძოლას თავი ზედ შეაკლა კიდეც, მაგრამ მაინც ვერას გახდა. ლანგთემურმა ექვსჯერ მოაოხრა ტანჯული საქართველო და სისხლისა და ცეცხლის კვალი ისე ღრმად გაავლო, რომ ხალხის მეხსიერებაში ეხლაც დარჩენილა ბარბაროსის „შავი დროო“... რასაკვირველია, ეს „შავი დროო“ შინაურმა მტრებმაც გამოიყენეს. ჯერ პირველად სამცხე გადუდგა სამეფოს, მერე კიდევ დასაელეთ საქართველოს საკუთარი მეფე გაუჩნდა და ცოტა ხნობით ისევ ორ-მეფობამ წამოჰყო თავი. გიორგი ბრწყინვალის ხელთა ქმნილება თითქო ცოტად შეირყაო, თუმცა-კი არ დარღვეულა. მაგრამ როცა თემური მოკვდა და იმის შვილებს შუღლი ჩაეკიდა, მოუარდათ, სამეფო ისევ გამაგრდა... ყველა ეს ცხადად ამტკიცებს, თუ რა გავლენა აქვს გარემოებას ისტორიულ მოღვაწის მოქმედებაზედ: თვით ბაგრატ დიდმა და რაინდმა მისმა შვილმა ვერა გააწყეს-რა მძლავრ მტერთან... და ან რას იზამთ, როცა გარეგანს, ფიზიკურს ძალას ასეთი დიდი ზედ-მოქმედება აქვს! მხოლოდ მაღალ-გონიერი კაცი ერთბაშად არ შეეჭიდება ხოლმე ამ ძალას და მის დასამორჩილებლად დროს ელოდება. გიორგი ბრწყინვალეც ასე მოიქცა და შთამომავლობას ისტორიული მცნება დაუტოვა: დროს შესაფერად მოიქცითო...

სამწუხაროდ, მეფის ცხოვრება მალე დაავიწყდათ (იქნება ამიტომაც დაიკარგა), მის მცნებას ყურადღება არ ათხოვეს. პოლიტიკურს „სიბრძნე-გონიერებას“ თითქო აღარაევინ საჭიროებდა... ნაყოფიც მალე აღმოსცენდა: როგორც უკვე შეენიშნეთ, მეთხუთმეტე საუკუნის ნახევარს იწყება ეგრედ-წოდებული სამეფოს განყოფა[64]). მართალია, მონგოლები განჰქრნენ, მახვილს თან გადაჰყვნენ, მაგრამ საქართველოს-კი არა ეშველარა,—იმათ მაგიერ სხვა მტრები გაჩნდნენ. მთელ საუკუნოების სივრცეზეა გაჭიმული იგი განუოფა და ამ დროს განმავლობაში შავისა და ბნელის გარდა თითქმის ვერას ეხედავთ. ამ ბნელეთს მხოლოდ გიორგი მეხუთე აბრწყინვალებს და ამიტომაც ერმა ბრწყინვალე უწოდა. და განა ერის განაჩენს, სხვა ვინმე, თუ არ ულირსი და უკეთური, წუნს დასდებს?!.

ნ. ურბნელი

---

[63]) Int oduction, p. LXXV—LXXVI.

[64]) გადაშკრით არ ითქმის, საბოლოოდ რომელ წელს მოხდა სამეფოს ნაწილებად დაყოფა. „ქართლის ცხოვრება“ თუმცა ამბობს ეს ამბავი იყოო მეფე ალექსანდრეს დროს, გვ. 474, მაგრამ, როგორც ვახუშტი განმარტებს, შემდეგშიაც ვხედავთ ერთ-მეფობას, გიორგი VIII დროს, ვახ. გვ. 303, შენიშვნა 2. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თუმცა მეფე ალექსანდრემ, რომელიც 1442 წ. ბერად აღკვეცილი გარდაიცვალა, „დასვა პირველი შვილი ვახტანგ ქართლსა, და იმერეთს მასთან დააყენა უმრწემესი ძმა მისი დიმიტრი, და დასვა კახეთს მეფედ უმრწემესი ძმა დიმიტრისი გიორგი“, მაგრამ პირველ ხანებში ს ა მ-მ ე ფ ო ბ ა ს ებრძოდა ერთ-მ ე ფ ო ბ ა, ჯერ-ჯერობით პირველს მათგანს მკვიდრი საფუძველი არ მოეპოვებოდა.

ბელმა უთხრა ივანოვს, რომ ყველა ქაღალდს საფრანგეთის მიერ გამოგზავნილს აშინოვის ცოლი იღებდა მხოლოდ თვით აშინოვისა და პაისის თანადასწრებით. პაისი ამბობს, რომ საფრანგეთის მთავრობისაგან არაეითარი ბრძანება არ მოსელიდა აშინოვსაო. აშინოვიც ამასვე ამბობს, რომ ფრანგებმა გამძარცვეს და ფულად და საქონლით 45,000 მანეთი წამართვესო.

ᲩᲐᲠᲯᲣᲘ. გენერალ როზენბახის კარკში წასელამ საკმაოდ დაამშვიდა ბუხარელები: არც აბდურახმანი ემზადება საომრად და არც კარკის ჯარს უნდა ჩარეილაეტის დაპყრობა, ეს ხმა ტყუილი გამოდგა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 2 აპრილი. გუშინ ბუხარის საელჩო უკანვე წავიდა ბუხარაში.

„День“-ი ამბობს, რომ, როგორც ხმა დადის, გაზაფხულზედ ახალი სანიტარული წესები უნდა შემოიღონ ჩვენს სამრეწველო დაწესებულებებშიო.

ᲪᲐᲠᲘᲪᲘᲜᲘ. ეოლგაზედ ყინული დაიძრა.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. ღღეს საღღესასწაულო დარბაზობის დროს რუსეთის წარმომადგენლებმა რეგენტებს წარუდგინეს თავისის ელჩობის საბუთის ქაღალდები.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. სენატის სხდომა 14 მაისისათვის გადაიდვა. გამომძიებელი კომისია თავისს საქმეს ერთს თთვეზედ ადრე არ გაათავებს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. გალიჩინაში იმ აზრისანი არიან, რომ გალიციის რუსთ მონაწილეობა არ უნდა მიიღონ მომავალს სეიმის არჩევანებში ეხლანდელ საქმეთა ვითარების გამო. ამას თხოულობს ეროვნული ღირსებაო.

3 აპრილი

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. მემარჯვენენი დეპუტატთა პალატისა იმ წერილში, რომელიც დაბეჭდეს იმის საწინააღმდეგოთ, რომ სენატი უზენაესს სასამართლოდ გადიქცესო, ამბობენ შემდეგსა: დღევნა გამოიწვია სენატის დელეგაციამ; მაბეზღართა გარდაქცევა მოსამართლეებად ისეთი საქმეა, რომ აქამდე არ გაგონილა. ჩვენ არ შეეიწყნარებთ მაგ განსაკუთრებულს იურისდიქციას, რომელიც თავისუფლად აღარ გამოათქმევინებს ერს თავის სურვილსაო“.

ბულანჟელების საქმე 14 ტომად არის დაწერილი. ხელ-ნაწერებს იცავენ ღღე და ღამე შეთოფ-იარაღებული ჯარის კაცნი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ 31 მარტი, ბირჟა,

	მოყიდველი ს.	გასყიდველი ს.	გასყიდველი ს.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	7 45
ტამოუნის კუპონები . .	149	— „	— „
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 12
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	269¼	— „	— „
—მეორისა	242¾	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

თუთრი პური რუსული 1 გირ. .	5	კაპ.
პური 1-ის სარისხისა. .	3½	„
„ 2 „	3	„
თონის წითელი პური 1-ის სარის.	5	„
„ „ 2—	4	„
„ „ 3 „	3½	„
ჯვარის მამის პურის ლაკაშა 1-ლის სარისხისა . .	5	„
მე-2 სარისხისა . .	4	„
მე-3 — . . .	„	
ძროხის ხორცი 1-ლის სარისხისა.	9	„
„ 2 „	8	„
სუკი	16	„
ცხვრის ხორცი 1-ლის სარისხისა.	12	„
ღორის ხორცი . . .	„	„
„ 2 „	„	„

ᲥᲘᲛᲝᲬᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღეის 4 სასთზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეიკვლის.

შაბათობით საღამოს 8 სასთზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეიკვლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისს შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, რაცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 სასთზე და მისსწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 სასთზე და მისსწრობს შორის გზით მოსიარულ-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

წიგნის მაღაზია

Კ. Ი. ᲜᲝᲓᲘᲐᲡᲘ

ქ. ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სასულიერო-საეკლესიო და სხვა მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველ ნაირი სამწერლო მასალები და ნიკუთები. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიავვა კომისიონერად ყველა სასულიერო და საეკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში.

(10—7)

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“ განიზრახა შეაგროვოს და დაბეჭდოს სახალხო ზღაპრები და ლეგენდები.

ამისათვის მიჰმართავს ყველას და უმორჩილესად სთხოვს, არ დაიშურონ და გამოუგზავნონ საზოგადოების გამგეობას ვისაც ამ გვარი რამ ნაწარმოები მოეპოვება, ან შემდეგში მოიპოვებს.

ამასთანავე გამგეობა საზოგადოებისა საჭიროდ ჰრაცხს საყოველთაოდ გამოაცხადოს, რომ ვინც რაიმე ზღაპარს თუ ლეგენდას წარმოუდგენს საზოგადოებას, თითო ღირსეულ ზღაპარსა თუ ლეგენდაში მიიღებს არა ნაკლებ ხუთის დაბეჭდილ წიგნისა, სადაც კრება იქმნება ზღაპარ-ლეგენდებისა.

ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Дворян. Земел. Банка, №№ 120, და 121 Канцелярія Общества грамотности.

(10—8)

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი.

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„ᲜᲣᲐᲮᲕᲔᲚᲔᲑ“

თაფლ-ბალახიანი-მალ ცოტ-ექტრაქტი

და კონფეტები

Ლ. Ბ. ᲙᲘᲢᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲑᲠᲔᲡᲚᲐᲕᲚᲨᲘ.

იხმარება წინააღმდეგ ხველისა, ხმის წასვლისა და ყელისა და გულის ავადმყოფობისა.

ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲘ:

დ-რმა მიხაელისმა med. praet. დაჭნიშნა ბავშოთვის 3—4-ჯერ ღღეში თითო ჩაის კოვში, ხოლო უფროსებისათვის ჭეშმარიტად ყოველ ღღე 4—6 ჩაის კოვზს ექსტრაქტს.

კონფეტების ამ თავითვე ხმარებით შეიძლება საშემდეგისოდ აიცილოს ადამიანმა ხველა, ხმის წასვლა და ყელის გაცივება.

ქიმიკურ ანალიზითა და სამკურნალო გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ფან-მრთელობისათვის. ამ წამლების რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ფასი: ბოთლი ჭლირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მან. 40 კაპ.

კონფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს.

ისყიდება აგრეთვე რუსეთის ყველა აფთიაქებსა და საოფთიაქო მაღაზიებში.

ტფილისს: საოფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრიგნაკოთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(17—13)

საზოგადო წასასმელი ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის ძირ-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოებთან ოდესას.



ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—23)

ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ

ᲬᲘᲒᲜᲗ-ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ჩუთათელაძისაგან	მან.	კაპ. 40

საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . .	3	„
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა .	„ 40	
ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა	„ 20	
დავით ალლანიშვილი-ჯანდიერი, ს. ფურცელაძისა . . .	„ 10	
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოტემა	„ 50	
საქართველოს კალენდარი, გუნიასი	„ 45	
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი	„ 30	
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე)	3	50
ვაზის ობი	„ 10	
ლოცვანი, ლამბაშიძისა . .	„ 30	
სიკვდილი მართლისა, ბონტოელი ბიდატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან.	„ 5	
ტიბიკონი, რ. სუნდაძისა. .	1	„
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა.	„ 40	
საქართველოს მეფეებზე ანდისაშვილისა		15
საუკეთესო ცოდნა-გზაბაკი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . .	„ 20	
გულივერის მოგზაურობა .	„ 50	
ხუთი ამბავი, საუმაწვილო ამბები, ფერანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ.	„ 15	
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
ბუნების მოელენანი, ს. მესტიაშვილისა	„ 15	
დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ .	„ 5	
სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . .	„ 10	
ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა	„ 75	
სამი კომედია, ს. ცაგარლისა .	„ 60	
თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა	„ 50	

ᲘᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲡᲧᲘᲓᲕᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲐᲛᲓᲔ

ცენტრალურს საგალანტერეიო მაღაზიაში

ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლებში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გეპოვნეს ყოველ გვარი საგალანტერეიო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: თეთრეული, კორსეტები, ქერსე, ხელთათმანები, ქოლგები, შლიაპები, ჩულქები, წინდები, ხელსახოცები, ალბომები, ნესესერები, კოსმეტიკები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ლაქრები, ჭურჭელი, საუმაწვილო სათამაშოები და სხვანი მრავალნი.

(10—8)

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ᲐᲠᲫᲔᲘᲡ ᲮᲘᲡ ᲑᲐᲚᲖᲐᲛᲘ Დ-ᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲓᲘᲚᲘᲐᲡᲘ,

ᲡᲐᲢᲣᲐᲚᲔᲢᲝᲓ ᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ჭეშმარიტად სახისა და ხელის კანის სიოლორისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მოქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჭმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჭლირს 1 მან. 65 კაპ.; ᲑᲔᲡᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ ჭლირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ᲮᲔᲨᲝᲒᲘᲡᲐᲓᲐ (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჭლირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და საოფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: საოფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრიგნაკოთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—13)

ᲠᲝᲡᲚᲝᲨᲝᲔ ᲘᲖᲓᲐᲜᲘᲔ.

Большая хромо-фото-литографическая точная копія съ знаменитой картины художника А А. Иванова

«ЯВЛЕНІЕ ХРИСТА НАРОДУ».

Съ подлинника, хранящагося въ Московскомъ Публичномъ Румянцевскомъ Музеумѣ.— Огромныхъ размѣровъ хромо-фото-литографія художественно исполненная—Пояснительный историко-біографическій текстъ составленъ И. Ѳ. Токмаковымъ.

Картина **„Явленіе Христа Народу“**, *писанная художникомъ А А. Ивановымъ въ теченіе* **тридцати лѣтъ**,—*сдѣлала цѣлую эпоху въ русской живописи; знаменитые художники, какъ-то: Крамской, А. Праховъ и многіе друг., нашли, что* **означенная картина болѣе проникнута истинно-религіознымъ духомъ и вѣрнѣе, въ историческомъ отношеніи, библейскому характеру событій**, *чѣмъ всѣ доселѣ извѣстныя заграничныя картины и иллюстраціи подобнаго рода, не исключая и* **Доре.**

Н. В. Гоголь въ своемъ знаменитомъ этюдѣ о картинѣ: **„Явленіе Христа Народу“** *раскрылъ намъ величіе истинно-русскаго и православнаго творчества Иванова и указалъ на него, какъ на главу русской живописи; это же подтверждаетъ и А. Праховъ въ статьѣ своей: Матеріалы для біографіи А. А. Иванова (жур. „Пчела“ за 1875 г. № 23 и № 24). Равно какъ о помянутой картинѣ были вполнѣ сочувственные отзывы въ журналахъ „Воскресный Досугъ“ 1867 г. № 231 и „Иллюстрированная Недѣля“ 1874 г. Нельзя такъ же не указать и на отзывъ Архимандрита Ѳеодора о картинѣ Иванова СПБ. 1859 г.*

Цѣна хромо-фото-литографической картинѣ: *Лакированная на бумагѣ—1 р. 50 коп., на холстѣ 2 р. 50 коп. За пересылку и упаковку на скалкѣ 50 коп. Подписавшимся на 10 и болѣе экз.—20% уступки.*

Адресъ: Мясницкая, магазинъ церковныхъ утварей Сытовы сыновья, соб. домъ.

(5—5)

Доз. ценз. Тифлисъ 3-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხიისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской улицѣ. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე